სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

14 / იანვარი / 2025 წ.

KA080158126691925

№ **109**

განკარგულება

შპს „ბილდ მენეჯმენტის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური;

ტენდერის ნომერი: NAT210015411;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ბილდ მენეჯმენტი“ (ს/ნ: 437060993);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 5 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №MIA62403064859 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №10304), რომლითაც სააგენტოს ეცნობა ამხანაგობა "ბალავარი ჯგუფის" (ს/ნ: 245774176) მიერ NAT210015411 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 29 ოქტომბრის №396 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემებით დგინდება, რომ ამხანაგობა "ბალავარი ჯგუფის" (ს/ნ: 245774176) მონაწილეები არიან შპს „ბალავარი“ (ს/ნ: 448053908) და შპს „ბილდ მენეჯმენტი“ (ს/ნ: 437060993).

სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის buildmanagement7@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 9 დეკემბრის №3521 წერილით აცნობა, სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 14 იანვრის № 107 განკარგულებით ამხანაგობა "ბალავარი ჯგუფი" (ს/ნ: 245774176) NAT210015411 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 29 ოქტომბრის № 396 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში.

სამოტივაციო ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8^1 პუნქტის თანახმად, თუ პრეტენდენტი/მიმწოდებელი ამხანაგობაა, შავ სიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების მიმართ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 14 იანვრის № 107 განკარგულებით ამხანაგობა "ბალავარი ჯგუფი" (ს/ნ: 245774176) NAT210015411 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 29 ოქტომბრის № 396 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

შესაბამისად, შპს „ბილდ მენეჯმენტი“ (ს/ნ: 437060993), როგორც ზემოაღნიშნული ამხანაგობის წევრი უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8^1 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ბილდ მენეჯმენტი“ (ს/ნ: 437060993) 2025 წლის 15 იანვარს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე